OPEN SOCIETY FOUNDATIONS

ღია საზოგადოების ფონდები და ჯორჯ სოროსი

მოკლე ისტორია

ღია საზოგადოების ფონდების დამაარსებელი მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე დიდი ფილანთროპი – ჯორჯ სოროსია, რომელმაც 1984 წლიდან დღემდე ქველმოქმედებაზე საკუთარი ფინანსური შემოსავლებიდან $13 მილიარდი დოლარი დახარჯა.

ღია საზოგადოების ფონდმა მთელი მსოფლიოს მასშტაბით მხარი დაუჭირა პიროვნებებს, რომლებიც იბრძვიან სიტყვის თავისუფლების, გამჭვირვალე და ანგარიშვალდებული მმართველობისთვის, აგრეთვე თანასწორი და სამართლიანი საზოგადოების შესაქმნელად. მხარდაჭერა ხშირად მიმართულია მათზე, ვინც ევროპელი ბოშების მსგავსად, თავიანთი იდენტობის გამო განიცდიან დისკრიმინაციასა და სოციალურ გარიყულობას.

სოროსმა, რომელიც 1930 წელს უნგრეთში დაიბადა და ნაცისტური ოკუპაციის დროს მოუწია ცხოვრება, თავად გამოსცადა საზოგადოების მხრიდან მსგავსი შეუწყნარებლობა. ნაცისტურ ოკუპაციას უნგრეთში 500,000 უნგრელი ებრაელის სიცოცხლე შეეწირა. 1947 წელს, როცა ხელისუფლებაში კომუნისტები მოვიდნენ, სოროსმა დატოვა ბუდაპეშტი და ემიგრაციაში წავიდა, ჯერ ლონდონში, შემდეგ კი შეერთებულ შტატებში, სადაც მან დიდ წარმატებას მიაღწია ფინანსებისა და ინვესტიციების სამყაროში.

ქველმოქმედება სოროსმა 1979 წელს დაიწყო აპარტეიდის ქვეშ მყოფi შავკანიანი სამხრეთ აფრიკელების სწავლის დაფინანსებით. 1980-იან წლებში სოროსმა კომუნისტურ უნგრეთში დააარსა ფონდი, რომელიც ხელს უწყობდა სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებას. ბერლინის კედლის დაცემის შემდეგ კი იგი მხარს უჭერდა აღმოსავლეთ და ცენტრალურ ევროპაში დემოკრატიისა და დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერებას.

ცივი ომის დასრულების შემდეგ, უფრო ანგარიშვალდებული, გამჭვირვალე და დემოკრატიული საზოგადოების ჩამოყალიბებისაკენ მიმართული ახალი ფართომასშტაბიანი ღონისძიებების მახარდაჭერის მიზნით სოროსის ქველმოქმედებამ შეერთებული შტატები, აფრიკა და აზიაც მოიცვა.

OPEN SOCIETY FOUNDATIONS

ღია საზოგადოების ფონდები და ჯორჯ სოროსი

9

ფაქტები ღია საზოგადოების ფონდის შესახებ

01 ღია საზოგადოების ფონდში დღეისათვის **ოცდასამი ეროვნული და რეგიონული ფონდია**, რომლებიც ადგილობრივი საბჭოების მიერ იმართება. საბჭოს წევრები ადგენენ ფონდის პრიორიტეტებს ადგილობრივი მოთხოვნებიდან გამომდინარე და მეთვალყურეობას უწევენ ფონდის საქმიანობას.

02 პირველი ფონდი დაარსდა 1984 წელს უნგრეთში, ხოლო უკანასკნელი – მიანმარში 2016 წელს.

03 ღია საზოფგადოების ფონდი **აფინანსებს პარტნიორი ორგანიზაციების მთლიანი ბიუჯეტის არაუმეტეს 33%-ისა,** რათა უზრუნველყოს მათი ფინანსური მდგრადობა და ამავე დროს შენარჩუნდეს მათი ფინანსური დამოუკიდებლობაც.

04 ბილი და მელინდა გეითსების ფონდის შემდეგ, ღია საზოგადოების ფონდი მეორე, ყველაზე დიდი კერძო საქველმოქმედო ფონდია. ქველმოქმედების ტრადიციას აშშ-ში საფუძველი ჩაუყარეს ისეთმა წარმატებულმა ბიზნესმენებმა, როგორიცაა ენდრიუ კარნეგი, როკფელერებისა და ფორდის ოჯახები.

05 ღია საზოგადოების ფონდი ევროპაში ბოშა **უმცირესობის მხარდამჭერი ღონისძიებების ყველაზე დიდი დამფინანსებელი იყო**.

06 1993 წლიდან მოყოლებული ყოფილ იუგოსლავიის ქვეყნებში მიმდინარე ომების, განსაკუთრებით კი სარაევოს ალყის დროს, ფონდმა **ათეულობით მილიონი დოლარი გამოყო ჰუმანიტარული დახმარებისა და ანტიკრიზისული ღონისძიებებისთვის.**

07 ამერიკის შეერთებულ შტატებში ფონდი 1996 წლიდან მუშაობს, მისი ძირითადი მიმართულებებია სისხლის სამართლის სისტემისა და ნარკოპოლიტიკის კანონმდებლობის რეფორმების ხელშეწყობა, დემოკრატიული ჩართულობის გაძლიერება და ჰუმანური საიმიგრაციო კანონმდებლობის მხარდაჭერა. ამერიკის პროგრამები ფონდის მთლიანი საქმიანობის დაახლოებით 17%-ს შეადგენს.

08 აღსანიშნავია, რომ ღია საზოგადოების ფონდი არაერთხელ **ჩართულა სადავო საკითხებზე გამართულ ისეთ პოლიტიკურ დებატებში, რომელსაც სხვა ფონდები თავს არიდებენ**. ჩვენ ვამაყობთ, რომ ვთანამშრომლობთ ისეთ ადამიანებთან, რომლებსაც საზოგადოება არ იღებს თავიანთი იდენტობის გამო.

09 ფონდის სახელი ასახავს იმ გავლენას, რომელიც მის დამფუძნებელზე კარლ პოპერის ფილოსოფიამ იქონია. თავის წიგნში – *ღია საზოგადოება და მისი მტრები*, პოპერი ამტკიცებს, რომ არცერთი ფილოსოფია ან იდეოლოგია არ არის ჭეშმარიტების საბოლოო არბიტრი და რომ საზოგადობა მხოლოდ მაშინ განვითარდება, როდესაც ის დაუშვებს დემოკრატიულ მმართველობას, გამოხატვის თავისუფლებასა და პიროვნების უფლებების პატივისცემას.

ფაქტები

ღია საზოგადოების ფონდების მიერ 1984 წლიდან დღემდე დახარჯული მთლიანი თანხა

13 მლრდ აშშ დოლარი

ღია საზოგადოების ფონდებში დასაქმებულთა საერთო რაოდენობა

1500+

2017 წლის მთლიანი ბიუჯეტი

914.7 მლნ აშშ დოლარი

2017 წლის დაფინანსება სექტორების